

## **"ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო"-ს პარტნიორთა შეხვედრა 2011**

24-25 მარტი 2011 წელი. დაფინანსებულია სააგენტოების ასოციაციისა და ქალაქ სტრასბურგის (საფრანგეთი) მიერ.

სააგენტოს პარტნიორთა რიგგარეშე შეხვედრას 2011 წლის გაზაფხულზე უმასპინძლა ქალაქ სტრასბურგმა. სააგენტოს ლიდერ პარტნიორად და გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ სტრასბურგის ხელმძღვანელობით დაიწყო აქტიური მუშაობა სააგენტოს სამოქმედო გეგმის, სააგენტოს სარეგისტრაციო დოკუმენტაციასა და წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხებზე. შეხვედრის დროს განხილული იქნა წესდებისა და სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტების სამუშაო ვარიანტები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ცვლილებების მიმდინარე წლის ბოლომდე განხორციელების შესახებ. ასევე პარტნიორების მიერ განხილული იქნა ახალი წევრების მოძიებისა და მათი პარტნიორთა ქსელში ჩართვის საკითხები.

პარტნიორთა შეხვედრის ფარგლებში, ასევე შედგა ვიზიტი სტრასბურგის ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სადაც მოეწყო ახალი უბნის დაგეგმარების სამუშაოების პრეზენტაცია და ქართულ და ფრანგულ მხარეებს შორის შესაძლო სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვა.